ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პრეცედენტი 1992-1999 წლებში

გიორგი მოდებაძე

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ პროექტის - „წარსულთანგამკლავების პრაქტიკის გადააზრება“ - ფარგლებში მიმოიხილოს 1991-1992 წლების ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი პერიოდი - აქტიური სამშვიდობო ძალისხმევის, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მცდელობებისა და ქართულ და სამხრეთოსურ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის ეტაპი.

1992-1999 წლები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართული მცდელობებით ხასიათდება. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის რეგულარულმა შეხვედრებმა, რამდენიმე მნიშვნელოვანმა ხელშეკრულებამ, პროცესში ეუთოს ჩართულობამ, მოლაპარაკებებში ეკონომიკური საკითხების წინ წამოწევამ, და არაფორმალური ურთიერთობების დონეზე ქართულ და სამხრეთოსურ საზოგადოებებს შორის პირდაპირი დიალოგის აღდგენამ, შედეგად მოიტანა საქართველოში კონფლიქტის ტრანსფორმაციის პრეცედენტის შექმნა.

ზემოთ აღნიშნული პერიოდის სამშვიდობო პროცესების მიმოხილვისა და გამორჩეული სამშვიდობო ხელშეკრულებების გაანალიზების გარდა, ნაშრომი ცდილობს შეაფასოს კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის მზაობა ქართულ და სამხრეთოსურ საზოგადოებაში და განსაზღვროს პოტენციური ტრანსფორმაციის საწყისი ნაბიჯები.

სტრუქტურულად, ნაშრომი ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი ეთმობა ქართული და სამხრეთოსური საზოგადოებების გაუცხოებისა და დიალოგის მოტივაციის კლების მიზეზების მოკლე მიმოხილვას; მეორე ნაწილში შემოთავაზებულია კრიზისული ვითარებიდან გამოსავლის პოტენციური გზა - კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიდგომის გააქტიურება; მესამე ნაწილში მიმოხილულია ცხინვალის რეგიონის 1992-1999 წლების სამშვიდობო პროცესები, სადაც აქცენტი გაკეთებულია მნიშვნელოვან სამშვიდობო ხელშეკრულებებზე, ეკონომიკურ შეთანხმებებსა და სავაჭრო ურთიერთობებზე, რომლებმაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პრეცედენტის საფუძველი შექმნა; მეოთხე ნაწილში შემოთავაზებულია ხედვა, კონკრეტული რეკომენდაციები ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზნობრივი ტრანსფორმაციისთვის ხელშესახები წარმატების მისაღწევად.

სტატია ეფუძნება „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ მიერ შექმნილ ელექტრონულ რესურსზე - „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი

წრფივი“ (https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-ti-isnc--746R3FMiftYruKBSnkEUAodd) - თავმოყრილ საარქივო დოკუმენტებს, საგაზეთო სტატიებს, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებსა და ქართულ-ოსური ურთიერთობის ამსახველ სხვა რელევანტურლიტერატურას.[1]

შესავალი

ბოლო წლებში, ცხინვალის რეგიონის შესახებ მსჯელობისას, საქართველოს საექსპერტო საზოგადოებაში მწიფდება მოსაზრება, რომ სამხრეთოსურ საზოგადოებას სულ უფრო ნაკლებად გააჩნია ქართველებთან ურთიერთობის მოტივაცია, აღნიშნულის მთავარ მიზეზად კი საზოგადოებებს შორის მზარდი ღირებულებითი გაუცხოება სახელდება. მეტიც, შემცირებული სოციალური კავშირები, პირდაპირი დიალოგის სიმწირე (როგორც გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის, ისე არაფორმალური ურთიერთობების დონეზე), საკომუნიკაციო ენის პრობლემა, ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების გამოცდილების არმქონე ახალგაზრდობის მაღალი წილი, მძლავრი სტერეოტიპული წარმოდგენები და ერთმანეთის შესახებ შექმნილი „მტრის ხატი,“ მედიის მხრიდან ქართული/სამხრეთოსური ამბების იგნორირება თუ ისტორიის განსხვავებული ინტერპრეტაცია იმდენად ზრდის საზოგადოებრივ გაუცხოებას, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ნდობის აღდგენაზე მუშაობის პროცესი უამრავი გამოწვევით დახასიათდება და დაინტერესებული მხარეებისგან მაქსიმალურად ინკლუზიური პროცესის შემოთავაზებას მოითხოვს.

საზოგადოებრივი და ღირებულებითი გაუცხოების გარდა, სამხრეთოსური საზოგადოების ქართველებთან ურთიერთობის მოტივაციის კლებას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორიც უწყობს ხელს, რომელთა შორის გამოსარჩევია ცხინვალის რეგიონის ჰარმონიზაცია რუსულ სამართლებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცესთან, და დე ფაქტო გადაწყვეტილების მიმღებ წრეებში რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის საკითხის მზარდი მხარდაჭერა. აღნიშნული მიმართულებით გადადგმულ მორიგ ნაბიჯს წარმოადგენს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონსა და რუსეთის ფედერაციას შორის 2020 წლის დეკემბერში ე.წ. საბაჟო

[1] პროგრამა Sutori, სადაც გაციფრულებული და განთავსებულია საარქივო დოკუმენტები და სხვა რელევანტური მასალები, აერთიანებს ქართულ-ოსური კონფლიქტის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის - XX საუკუნის 80-იანი წლებიდან 2008 წლის 7 აგვისტომდე - სხვადახვა რიგის დოკუმენტებსა და მნიშვნელოვან საგაზეთო პუბლიკაციებსაც, რომლებიც ქრონოლოგიურადაა დალაგებული.

პროცედურების გამარტივება, რაც მიზნად ისახავს ე.წ. სტრუქტურების ეტაპობრივ გაუქმებასა და მათ რუსულ უწყებებში ინტეგრირებას.[2]

დამატებით ფაქტორს წარმოადგენს კრემლისგან მიღებული ფინანსური დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ იკლო ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ფულის გადინებამ, მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მაინც დიდი ოდენობით თანხა იხარჯება. არსებული მონაცემებით, 2020 წელს რუსეთის ფედერაციისგან ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისათვის გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ 6,2 მილიარდი რუსული რუბლი (86 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა, რამაც ე.წ. ბიუჯეტის 82% შეავსო.[3] აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ 2008 წლის შემდეგ, ცხინვალის რეგიონი მოწინავეა რუსეთის საბიუჯეტო დოტაციების ერთ სულ მოსახლეზე გადანაწილებით იმ რეგიონებს შორის, რომელთა ფინანსური ინსტიტუტებიც, ფაქტობრივად, მთლიანად რუსეთის ფედერაციაზეა დამოკიდებული. ამასთან, აღნიშნულ რეგიონებთან შედარებით, ცხინვალის რეგიონში მაღალია საშუალო ხელფასი და პენსია, და, ზოგადად, ცხოვრების დონე.

გასაკვირი არაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გათვალისწინებით, 2008 წლის ომის შედეგად მიღებული მძიმე ტრავმების ფონზე, ცხინვალის რეგიონში მინიმუმამდეა დასული ქართველებთან დიალოგის სურვილი და ადგილობრივი მოსახლეობაც ნაკლებად ეწინააღმდეგება რუსეთის ანექსიონისტურ ზრახვებს.

გამოსავლის ძიებაში - კონფლიქტის ტრანსფომაცია

საექსპერტო წრის წარმომადგენლების ნაწილი თვლის, რომ კრიზისული ვითარებიდან გამოსავლის ძიებაში, საქართველოს მთავრობამ აქცენტი უნდა გადაიტანოს სამშვიდობო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების - კონფლიქტის ტრანფორმაციის მიდგომის - დახვეწაზე, დაპირდაპირი დიალოგითა და მიზნობრივი ცვლილებებით ქართულ და სამხრეთოსურ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის უზრუნველყოფაზე.

---

[2] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის ანგარიში, გვ. 6, იხ.https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%20%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202020--.pdf

[3] იქვე, გვ. 8.

მოსალოდნელია, რომ სამხრეთოსური საზოგადოება გაცილებით ნაკლებ საფრთხეს დაინახავს კონფლიქტის ტრანფორმაციაში, ვიდრე მის მოგვარებაში. მიუხედავად იმისა, რომ, ამ ეტაპზე, ტრანსფორმაციის მიმართულების გააქტიურებაც ნაკლებად შედის ადგილობრივი საზოგადოების ინტერესებში, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აუცილებელია აღნიშნული მიდგომის წახალისება და პრაგმატული, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

საექსპერტო წრის აღნიშნული ნაწილის შეფასებით, პროცესის წარმატებისთვის, საჭიროა კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით არსებული სახელმწიფო მიდგომის შეცვლა. რესურსის უკეთ ათვისების მცდელობების ნაცვლად, სჯობს აქცენტი გაკეთდეს მიზნობრივი ცვლილებების მიღწევაზე - თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფაზე, ერთობლივ ბიზნეს საქმიანობაზე, სავაჭრო ურთიერთობების აღდგენაზე, ურთიერთდამოკიდებულებათა ცვლილებაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში, მიზნობრივმა ტრანსფორმაციებმა შეიძლება შეცვალოს ადგილობრივი საზოგადოების განწყობა ცხინვალის რეგიონში, რისი პრეცედენტიც რეგიონში 1990-იან წლებში, ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ შეიქმნა.

თეორიული წანამძღვრები

კონფლიქტის ტრანსფორმაცია მასში ჩართულ ადამიანებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთობების იმგვარ ცვლილებას გულისხმობს, რომლის შედეგადაც მხარეებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთდამოკიდებულება ყალიბდება. განსხვავებით კონფლიქტის მოგვარების კომპლექსური პროცესისა, კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზანი არა დიალოგის გზით დაპირისპირების შეჩერება და კონფლიქტში ჩართული ყველა მხარისთვის მისაღები პოლიტიკური გამოსავლის პოვნა, არამედ კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების აღქმებისა და დამოკიდებულებების შეცვლაა.[4]

განმარტების თანახმად, კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზანი ორმხრივად ყალიბდება: ერთი მხრივ, აღნიშნულმა პროცესმა უნდა უზრუნველყოს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების უსაფრთხოება და კეთილდღეობა და, მეორე მხრივ, კონფლიქტის მხარეთა შორის ურთიერთობა.[5]

---

[4] Lederach, John Paul, *Building Peace: Sustainable Reconciliation in Divided Societies*, Washington, D.C: United States Institute of Peace Press, 1997, pp. 23-25.

[5] ჭანკვეტაძე ნათია, *კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურკონტექსტში: იდეიდან ქმედებამდე*, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, 2020, გვ. 13.

კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა ინკლუზიური პროცესია. გარდაქმნის ან ხელშესახები ცვლილებების მისაღწევად, აუცილებელია პროცესში როგორც კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების, ისე სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მაღალი ჩართულობა, და საზოგადოების შიდა ვერტიკალის აქტიური მუშაობა. რაც შეეხება პროცესის წარმატებას, მის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გადაწყვეტილების მიმღები პირების, საშუალო დონისა და ქვედა დონის ლიდერების აქტიური თანამონაწილეობის უზრუნველყოფა.[6]

ინდივიდუალურ და ურთიერთობათა დონეზე ცვლილებების მიღწევასთან ერთად, კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის, საზოგადოებაში სტრუქტურული გარდაქმნის უზრუნველყოფაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რისთვისაც აუცილებელია საზოგადოების შიგნით მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით მომუშავე კონკრეტული სტრუქტურების მოქნილობისა და მდგრადობის გადაფასება.[7]

1992-1999 წლის სამშვიდობო პროცესი

1990-იან წლებში იყო პერიოდი, როდესაც შეიქმნა ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პრეცედენტი. საუბარია, შეიარაღებული პერიოდის შემდგომ, კონკრეტულად კი 1992-1999 წლებზე, პერიოდზე, რომელიც აქტიური სამშვიდობო ძალისხმევის, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მცდელობებისა და ქართულ და სამხრეთოსურ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის ეტაპად დახასიათდა.

პროცესის გასაანალიზებლად, საინტერესოა რამდენიმე მნიშვნელოვანი სამშვიდობო ხელშეკრულებისა და ეკონომიკურ შეთანხმების, ასევე, სავაჭრო ურთიერთობების ძირითადი ასპექტების მიმოხილვა, რომლებმაც შექმნა ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციის საფუძველი.

ძირითადი სამშვიდობო ხელშეკრულებები

1991-1992 წლების ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, სამშვიდობო პროცესის საწყის ეტაპად მიიჩნევა 1992 წლის 24 ივნისი, როცა სოჭში ბორის ელცინსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას „ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ.“ დოკუმენტის პრეამბულაში ხაზგასმული იყო, რომ შეთანხმება დადებულია რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რეპუბლიკას შორის ქართველებსა და

[6] იქვე, გვ. 8.
[7] იქვე, გვ. 8-9.

ოსებს შორის კონფლიქტის ყოველმხრივი მოწესრიგებისათვის. ამ მიზნით, შეთანხმება ითვალისწინებდა შეიარაღებული ფორმირებების გაყვანას კონფლიქტის ზონიდან და შერეული სამშვიდობო ძალების შექმნას შერეული საკონტროლო კომისიის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც უნდა შემდგარიყო კონფლიქტის მხარეების, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებისგან.[8]

გამოსარჩევია შეთანხმების მეოთხე მუხლიც, რომელიც გულისხმობდა მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყებას კონფლიქტის ზონაში მდებარე რაიონების ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ლტოლვილების დაბრუნებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის თაობაზე.იმავე მუხლში გაწერილია მეტად საინტერესო პირობა, რომლის თანახმადაც მხარეები მიუღებლად მიიჩნევდნენ საქონლის, მომსახურებისა და ადამიანების თავისუფალი მოძრაობის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციებისა და ბლოკადის, ასევე, ნებისმიერი სხვა დაბრკოლების გამოყენებას, და იღებდნენ ვალდებულებას უზრუნველეყოთ მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა.[9]

აღნიშნულმა შეთანხმებამ შექმნა ხელსაყრელი პირობები ქართულ-ოსური ურთიერთობის ტრანსფორმაციის მიმართულებით გასავითარებლად და გააჩინა მექანიზმი კონფლიქტის პოლიტიკური გადაჭრისთვის. ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც: 1992 წლის 4 ივლისს, როცა ვლადიკავკაზში შედგა მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრა, სადაც უკვე ხელი მოეწერა ოქმს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ შეთანხმების შესასრულებლად, დოკუმენტს ხელი მოაწერეს შოიგუმ, კიტოვანმა, გალაზოვმა და კულუმბეკოვმა. შესაბამისად, გაჩნდა ოთხი სუბიექტი და შერეული საკონტროლო კომისიაც მათგან დაკომპლექტდა.[10]

რაც შეეხება ოთხი მხარის გაჩენას, დოკუმენტში მათ ოფიციალურად დასახელებას, აღნიშნულ საკითხს პირველად 1994 წლის 31 ოქტომბრის მოსკოვის შეთანხმება ეხება. შეთანხმების მიხედვით, შერეული საკონტროლო კომისია მუდმივმოქმედ ორგანოდ გარდაიქმნა, რომლის სამუშაო ჯგუფები კოორდინირებულად მოაწესრიგებდნენ კონფლიქტთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიმართულებას. მას შემდეგ, რაც შერეულმა საკონტროლო კომისიამ შეასრულა თავისი ფუნქციები კონფლიქტის

[8] 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმება „ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“, მუხლი 3, იხ. https://docs.cntd.ru/document/1902246
[9] იქვე, მუხლი 4.
[10] „ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“ შეთანხმების შესასრულებლად მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრის ოქმი, იხ. https://www.apsny.ge/notes/1128821116.php

ზონაში ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველსაყოფად, შეთანხმებების მიხედვით, მას დაევალა კონფლიქტის მოწესრიგების სხვადასხვა ასპექტებზე - მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე, დიალოგის ხელშეწყობასა და პოლიტიკური საკითხების დარეგულირებაზე, კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე, ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის უზრუნველყოფაზე, და ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებაზე - მუშაობა.[11] აღსანიშნია, რომ შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობაში ეუთოს მისიაც ჩაერთო.

1994 წლის მოსკოვის შეთანხმება წარმოადგენდა კიდევ ერთ წარმატებულ ნაბიჯს ქართულ-ოსური კონფლიქტის პოტენციური ტრანსფორმაციის გზაზე. სამშვიდობო პროცესში ეუთოს გააქტიურებას აღნიშნული მიმართულებით მომდევნო მნიშვნელოვანი დოკუმენტის ხელმოწერა მოჰყვა. 1996 წლის 16 მაისს, მოსკოვში გაფორმდა მემორანდუმი „ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.“ მემორანდუმს ხელს აწერდნენ საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის, სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის მხარეები, და ეუთოს წარმომადგენლები. დოკუმენტის მიხედვით, ქართველებისა და სამხრეთ ოსების წარმომადგენლებმა დააფიქსირეს მზადყოფნა კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგების თაობაზე და შეთანხმდნენ, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე პირები, რომლებსაც არ ჩაუდენიათ სამხედრო დანაშაული, ასევე, დანაშაული სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ, არ დაექვემდებარებოდნენ სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთან, დოკუმენტში გაიწერა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისკენ წინსვლის კვალობაზე, კონფლიქტის ზონა სოციალურ მორიგებათა საფუძველზე თანდათანობით დემილიტარიზდებოდა.[12]

ეუთოს ეგიდით გაფორმებული მემორანდუმი მიიჩნევა საბაზისო დოკუმენტად, რომელზეც აიგო 2000 წლის 13 ივლისს გაფორმებული ე.წ. ბადენის დოკუმენტის (შუალედური დოკუმენტის) პრინციპები: უარის თქმა ძალის გამოყენებაზე, უარის

[11] 1994 წლის 31 ოქტომბრის შეთანხმება „ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის შემდგომი განვითარებისა და შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ“: ქართულ ოსური კონფლიქტის დარეგულირებისთვის შერეული საკონტროლო კომისიის დებულება, მუხლი 5, იხ. http://www.caucasica.org/docs/detail.php?ID=1330&PHPSESSID=85ce24d286e083a2941a5edb041f4078

[12] 1996 წლის 16 მაისის მემორანდუმი „ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“, იხ. https://docs.cntd.ru/document/1902534

თქმა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა სახის ზეწოლაზე, სისხლისსამართლებრივი დამოკიდებულების საკითხის განსაზღვრა კონფლიქტში მონაწილე პირების მიმართ.

ეკონომიკური საკითხები

პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესთან და სამშვიდობო დოკუმენტებთან ერთად, ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციისათვის, პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკავა ეკონომიკურ საკითხებს. მათი დაყოფა სამ ნაწილად შეიძლება: სამხრეთოსური საზოგადოების მოთხოვნები 1992 წლამდე მიღებული მატერიალური ზარალის კომპენსაციასთან დაკავშირებით, კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციასთან და ინფრასტრუქტურულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, და საქონლის ტრანზიტთან დაკავშირებული საკითხები - რუსეთის ფედერაციიდან ცხინვალის რეგიონის გავლით თბილისისკენ და, პირიქით.[13]

პირველი მნიშვნელოვანი ეკონომიკური შეთანხმება, რომელიც საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის გაფორმდა, 1993 წლის 14 სექტემბრით თარიღდება. შეთანხმება ითვალისწინებდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის დაზარალებული რაიონების ეკონომიკურ რეაბილიტაციას. შეთანხმებით, 1991-1992 წლების ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზარალი განისაზღვრა 34,2 მილიარდი რუსული რუბლით, 1992 წლის 15 ივლისის ფასებით. საქართველომ ხარჯების 2/3 ნაწილის დაფარვის ვალდებულება აიღო. აღსანიშნია, რომ რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია 1997 წლამდე უნდა დამთავრებულიყო.[14]

ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხელშემწყობ ეკონომიკურ შეთანხმებებს შორის გამოსარჩევია 2000 წლის 23 დეკემბერს, თბილისში, საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის დადებული შეთანხმება „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ.“ დოკუმენტი მხარეებს ავალდებულებდა კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და დევნილების დაბრუნებას. საინტერესოა, რომ აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერამდე, რუსეთის დუმამ ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება რეგიონის

[13] საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, ტომი II, გვ. 121, იხ. https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf

[14] ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარე რაიონების ეკონომიკური რეაბილიტაციის შესახებ საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის 1993 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების თაობაზე სუტორზე განთავსებული მასალა, იხ. https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-ti-isnc--746R3FMiftYruKBSnkEUAodd

ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ. თბილისის შეთანხმებით კი, ქართულმა მხარემ, ფაქტობრივად, თანხმობა განაცხადა დავალიანების გადახდაზე, რომლის წარმოქმნაშიც მას მონაწილეობა არ მიუღია.[15]

ერგნეთის ბაზრობა და მისი როლი ნდობის აღდგენის პროცესში

1990-იანი წლების ბოლოს კონფლიქტის ზონაში შეინიშნა სატრანსპორტო და სავაჭრო კავშირების არნახული გაძლიერება. უსაფრთხოების თვალსაზრისით სიტუაციის სტაბილიზაციის შემდეგ, გაუქმდა საკონტროლო-გამშვები პუნქტების უმეტესობა, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული ბაზრების უეცარი გავსება ცხინვალის რეგიონის გავლით შემოტანილი რუსული საქონლით. გასაკვირი არაა, რომ არ ხდებოდა საბაჟო გადასახადის გადახდა, რაც საქართველოს ეკონომიკას შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს ართმევდა. ამ დროს კი, ცხინვალის რეგიონში დაიწყეს ფულის კეთება სატრანზიტო გადასახადის შემოღებით როკის გვირაბის სამხრეთ ოსების მიერ კონტროლირებად მხარეს.[16]

აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ერგნეთის ბაზრობა, რომელიც მნიშვნელოვან სავაჭრო ადგილად იქცა. ბაზრობაზე, საკუთარი საქმიანობის წარსამართად, ყოველდღიურად, 3000-მდე ადამიანი იყრიდა თავს.[17] არსებული ექსპერტული შეფასებები წარმოდგენას ქმნის ერგნეთის ბაზრობაზე მის დახურვამდე არსებულ ყოველთვიურ ტვირთბრუნვაზე, რაც 8,400,000 – 11,100,000 აშშ დოლარს წარმოადგენდა.[18]

შედეგად, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკა კიდევ უფრო გაღრმავდა და შემოსავლიან კონტრაბანდულ ოპერაციებში სულ უფრო მეტი ადამიანი აღმოჩნდა ჩართული, რომელთაც ცხინვალის რეგიონში ადგილობრივ ხელისუფლებასთან ან სამშვიდობო პროცესთან ჰქონდათ კავშირი.

კონტრაბანდულ სქემებში ადგილობრივი მოსახლეობისა და ზოგიერთი თანამდებობის პირის ჩართულობის გამო, ცხადია, ერგნეთის ბაზრობას უარყოფითი გავლენა ჰქონდა საქართველოს ზოგად სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ

---

[15] ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის 2000 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების თაობაზე სუტორზე განთავსებული მასალა, იხ. https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-ti-isnc--746R3FMiftYruKBSnkEUAodd

[16] საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, ტომი II, გვ. 127.

[17] იქვე, გვ. 128.

[18] *ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ*, თბილისი: ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, 2005, გვ. 51-52, იხ. http://iccn.ge/files/geo-ossetian_conflict_resolution_ways_2005_geo.pdf

გარემოზე, თუმცა გამოსარჩევია სამი მნიშვნელოვანი სარგებელი, რაც ბაზრობის არსებობამ კონფლიქტის ზონაში უზრუნველყო. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების დიდი ნაწილი ადგილობრივი ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოებისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან მიდიოდა, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოქალაქეებიც ახერხებდნენ ვაჭრობის საარსებო წყაროდ გამოყენებას, ცხინვალის რეგიონის დაბალი ეკონომიკური განვითარებისა და არსებული მაღალი უმუშევრობის ფონზე. ამასთან, ფასები ძირითად საქონელზე, როგორიცაა პური, იყო ძალიან დაბალი, გადასახადის არარსებობის გამო. რაც ყველაზე მთავარია, ქართული და სამხრეთოსური საზოგადოებისათვის ბაზრობა წარმოადგენდა შეხვედრის, კონტაქტების დამყარებას და საერთო ინტერესების გამოვლენის მთავარ ადგილს კონფლიქტის შემდგომ წლებში.[19]

რთული სათქმელია, საქართველოს ხელისუფლებამ ერგნეთის ბაზრობა სამშვიდობო პროცესის ნაწილად მიზანმიმართულად მიიღო თუ უბრალოდ, ვერ შეძლო კონტრაბანდის აღკვეთა. ერთი რამ კი ცხადია - წლების განმავლობაში, ერგნეთის ბაზრობამ ქართულ და სამხრეთოსურ საზოგადოებებს შორის არაფორმალური ურთიერთობის პირდაპირი პლატფორმა და ნდობის აღდგენის მექანიზმი შექმნა. ფაქტი, რომ ერგნეთის ბაზრობის დამსახურებით, ორი საზოგადოება აღარ იყო გაყოფილი და ქართველებმა და ოსებმა შეძლეს ურთიერთობის აღდგენა, სავაჭრო კავშირების გამყარება, რეგიონში, ასევე, საერთაშორისო საზოგადოების მიერ, უმეტესწილად, აღიქმებოდა სამშვიდობო პროცესის წარმატებად და კონფლიქტის ტრანსფორმაციის საბოლოო მიზნისკენ საეტაპო მიღწევად.

დასკვნა და რეკომენდაციები

სავარაუდოა, რომ, დროთა განმავლობაში, ქართულ და სამხრეთოსურ საზოგადოებებს შორის დღეს არსებული გაუცხოება ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის მთავარი გამოწვევა გახდება. ნაშრომის პირველ ნაწილში აღინიშნა, რომ საფრთხის პრევენციისათვის, უმჯობესია კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიდგომის დროულად გააქტიურება და საზოგადოების გათიშვისკენ მიმართული ქმედებების საწინააღმდეგო მუშაობა, ამისათვის კი მიზნობრივ ცვლილებებზე მუშაობა. საინტერესოა, რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას საქართველოს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რომ მოკლე ან საშუალოვადიან პერსპექტივაში

[19] International Crisis Group, Europe Report N159, *Georgia: Avoiding War in South Ossetia,* 2004, pp. 10-11. იხ. https://d2071andvip0wj.cloudfront.net/159-georgia-avoiding-war-in-south-ossetia.pdf

მოხდეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით ხელშესახები წარმატების მიღწევა და საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის იმ ნიშნულთან მიბრუნება, რომელთანაც ისინი 1992-1999 წლების წარმატებული სამშვიდობო პროცესის შედეგად აღმოჩნდნენ.

იმისათვის, რომ შეიქმნას მყარი საფუძველი კონფლიქტის მშვიდობიანი და სრულმასშტაბიანი მოგვარებისათვის, როგორც ქართულ, ისე ოსურ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩასატარებელი. პირველ ეტაპზე, კონფლიქტის მიზნობრივი ტრანსფორმაციისათვის, აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გატარება:

- კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხედვის, პრინციპებისა და სტრატეგიის განსაზღვრისას, ხელისუფლებისა და სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფების, მათ შორის, არასამთავრობო სექტორის, მედიის, საექსპერტო საზოგადოების მუშაობის გააქტიურება და ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტში ტრანსფორმაციის კონსოლიდირებული ხედვის ჩამოყალიბება;
- საქართველოში პოლიტიკური დიალოგის წამოწყება ხელისუფლებაში მყოფ და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ ხედვის, პრინციპებისა და სტრატეგიის შესამუშავებლად;
- კონფლიქტებსა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე მომუშავე სტრუქტურების, ასევე არასამთავრობო სექტორის ხელთ არსებული სხვადასხვა არხის გამოყენებით კონფლიქტების ტრანსფორმაციასა და შერიგებაზე ორიენტირებული გზავნილების გავრცელება: უარი ძალადობასა და კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრას; თანასწორობა, როგორც უზენაესი ღირებულება; ნდობის აღდგენა ქართულ და სამხრეთოსურ საზოგადოებებს შიგნით; ადამიანის დაცულობა, საზოგადოების გაზრდილი როლი და მეტი ჩართულობა პროცესებში, და ა.შ.;
- მიზნობრივი ტრანსფორმაციის მიმართულებების სწორად შემუშავება - სიკეთეების გაზიარებამდე, სამხრეთოსური საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების, მათი მოთხოვნების შესწავლა, ამის შემდეგ კი კონკრეტული პროგრამების, პროექტების გაწერა და ამუშავება;
- კონკრეტული ცვლილებების მისაღწევად მუშაობის გააქტიურება, რაც, დროთა განმავლობაში, შეიძლება გამოიხატოს ადამიანებისა და ტვირთის თავისუფალ გადაადგილებაში, ერთობლივ ბიზნეს საქმიანობაში, სავაჭრო ურთიერთობების აღდგენაში, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივ მუშაობაში, ინკლუზიური სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში, უკანონო დაკავებების გამორიცხვაში, და ა.შ.;

- სახელმწიფოს მხრიდან, ერთი მხრივ, დეპოლიტიზებულ საკითხებზე პირდაპირი დიალოგის ინიცირება ოსურ საზოგადოებასთან, მეორე მხრივ კი, არაფორმალური დიალოგის პლატფორმისა და თანამშრომლობის გაფართოების ხელშეწყობა;
- ტრანსფორმაციის პროცესში ჩართული საზოგადოებრივი ჯგუფების სწორად შერჩევა. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაცია ყველა საზოგადოებრივ ჯგუფს ეხება, მიდგომის ეფექტიანობის გასაზრდელად, უმჯობესია ტრანსფორმაციის იმ ჯგუფებიდან დაწყება, რომელთაც აღნიშნული პროცესი პირდაპირ ეხება.

გამოყენებული ლიტერატურა

International Crisis Group. Europe Report N159. *Georgia: Avoiding War in South Ossetia,* 2004. იხ. https://d2071andvip0wj.cloudfront.net/159-georgia-avoiding-war-in-south-ossetia.pdf

Lederach, John Paul. *Building Peace: Sustainable Reconciliation in Divided Societies*. Washington, D.C: United States Institute of Peace Press, 1997.

„ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“ შეთანხმების შესასრულებლად მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრის ოქმი. იხ. https://www.apsny.ge/notes/1128821116.php

1992 წლის 24 ივნისის შეთანხმება „ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“. იხ. https://docs.cntd.ru/document/1902246

1994 წლის 31 ოქტომბრის შეთანხმება „ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის შემდგომი განვითარებისა და შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ“: ქართულ ოსური კონფლიქტის დარეგულირებისთვის შერეული საკონტროლო კომისიის დებულება. იხ. http://www.caucasica.org/docs/detail.php?ID=1330&PHPSESSID=85ce24d286e083a2941a5edb041f4078

1996 წლის 16 მაისის მემორანდუმი „ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“. იხ. https://docs.cntd.ru/document/1902534

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის ანგარიში. იხ. https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%8

3%98%E1%83%A4%E1%83%9D%20%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202020--.pdf

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში. ტომი II. იხ. https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf

სუტორზე განთავსებული ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი. იხ. https://www.sutori.com/en/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd

ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ. თბილისი: ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, 2005. იხ. http://iccn.ge/files/geo-ossetian_conflict_resolution_ways_2005_geo.pdf

ჭანკვეტაძე ნათია. *კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამდე.* ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, 2020.